



187-01-4-201409180944



**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

№ 01-187; 18/09/2014

ქ. თბილისი

**„საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის საქმისწარმოების ინსტრუქციის
დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2012 წლის 2
მარტის N59 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 16 ნოემბრის N206 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. „საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2012 წლის 2 მარტის N59 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-20 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. მინისტრის სრულგერბიანი მცირე ზომის ბეჭედი

ა) N3 ბეჭედი (დანართი N14-ა) გამოიყენება დოკუმენტის ლეგალიზაციასთან დაკავშირებით;

ბ) N4 ბეჭედი (დანართი N14-ბ) გამოიყენება საქართველოს სამსახურებრივი და დიპლომატიური პასპორტების დასამოწმებლად;

გ) უნომრო ბეჭედი (დანართი N18-ა) გამოიყენება საკონსულო დეპარტამენტის მიერ საქართველოს ვიზის, საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობისა და სხვა დოკუმენტების დასამოწმებლად რომელზეც აუცილებელია გერბიანი ბეჭდის დასმა.“.

2. მე-20 მუხლს დაემატოს 9¹ მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9¹. შტამპი:


ა) გათვალისწინებული დანართი N18-ბ (ნიმუში/SPECIMEN) გამოიყენება დოკუმენტებზე, რომელიც გაცემული (გამოყენებული) უნდა იქნეს ნიმუშის სახით;

ბ) გათვალისწინებული დანართი N18-გ (გაუქმებულია/CANCELLED) გამოიყენება დოკუმენტებზე გაუქმების აღნიშვნის მიზნით.”.

3. დამტკიცდეს დანართი N18 თანდართული სახით.

4. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით ზალკალიანი

A handwritten signature in blue ink, appearing to read 'Davit Zalkaliani', with a long, sweeping flourish extending downwards and to the right.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის
2012 წლის 2 მარტის N59 ბრძანებით
დამტკიცებული საქართველოს საგარეო საქმეთა
სამინისტროს საქმისწარმოების ინსტრუქციის

დანართი N18



ნ ი მ უ შ ი
S P E C I M E N

ა) სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის
სრულგებრივი მცირე ზომის ბეჭედი (უნომრო)

ბ) შტამპი (ნიმუში/SPECIMEN)

გაუქმებულია
CANCELLED

გ) შტამპი (გაუქმებულია/CANCELLED)